KA070189341597313

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105 ქ.თბილისი სანაპირო ქ N4 ტელ.(+995 32) 2-996-377, ფაქსი (+995 32) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105 Georgia Fax (+995 32) 2-987-430 Phone (+995 32) 2-996-377

www.culture.gov.ge E-mail: info@culture.gov.ge

N01/13-2785

08 / იელისი / 2013 წ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

მოგახსენებთ, რომ თქვენი დავალების (01.05.2013 წლის #14962) შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია". რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. კომისიამ 2013 წლის 30 ივნისისს დაასრულა მუშაობა და მის წინაშე დასმულ საკითხებზე მოამზადა დასკვნა.

დასკვნის მომზადებას საფუძვლად დაედო შემდეგი აქტივობები:

1. კომისიის ნევრებმა მუშაობის დასაწყისშივე ადგილზე მოინახულეს დაბა საყდრისის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი.

2. კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა 2013 წლის 30 მაისს, სადაც განხილულ იქნა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები. სხდომის ნევრებმა მოისმინეს საკითხის სამართლებრივი შეფასება და დაადგინეს, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" (1999-2007) საქართველოს კანონის დარღვევით აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული. კომისიის ნევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გამოთქვა რეკომენდაცია ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

3. კომისიის მეორე სხდომა ჩატარდა 2013 წლის 5 ივნისს, რომელზეც გაიმართა მსჯელობა პრობლემის მოგვარების ოპტიმალური გზების დასახვის შესახებ. მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა საერთო პოზიცია იმის თაობაზე, რომ ერთი მხრივ, ყველას კარგად აქვს გააზრებული სახელმწიფო ინტერესები ამ ტერიტორიაზე, რაც განპირობებულია ოქროს მადნის მოძიებით და ამოღებით. ამავე დროს, არქეოლოგთა მიერ ჯერ კიდევ არაა მიღებული სრული ინფორმაცია ამ უძველესი საბადოს შესახებ. ორივე მხარე, თანამედროვე ნარმოება და არქეოლოგიური ექსპედიცია, უნდა შეჯერდნენ და ერთობლივად მოიძიონ საშუალებები, რათა რაც შეიძლება მჭიდრო ვადაში განხორციელდეს არქეოლოგიურ მონაცემთა ბაზის სრულყოფა და არც სახელმწიფოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე - ოქროს მოპოვების პროცესი შეფერხდეს. პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, უკვე განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშების დეტალურად შესწავლასთან ერთად აუცილებლად იქნა მიჩნეული სპეციალიტთა დასკვნების მოპოვება შემდეგი

მიმართულებებით: გეოლოგია, საინჟინრო გეოლოგია, ეკოლოგია, მეტალურგია, მასალათა გამძლეობა.

კომისიის შემდგომ სხდომებზე წარმოდგენილი იქნა ზემოთ აღნიშნული დასკვნები, რომელთა მსგავსი შინაარსიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნა, რომ გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე არ დასტურდება.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის, გეოლოგიური საშიშროებების მართვის სამსახურის სტიქიური პროცესების საინჟინრო გეოლოგიური სამმართველოსა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის გარემოს ეკოლოგიური შეფასების მიმართულების სპეციალისტთა მიერ ადგილზე სიტუაციის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის შესაბამისად (№12-15/436 27.06.2013), შეიძლება ითქვას, რომ საბადოს ტერიტორიაზე დაწყებული საექსპლუატაციო სამუშაოების (მათ შორის გადახსნის, გამოსატუტი მოედნების მშენებლობის, მისასვლელი გზების გაყვანის, ინფრასტრუქტურის მონყობის და სხვა.) შენყვეტა უპირობოდ გამოიწვევს ეროზიულ-გრავიტაციული პროცესების მკვეთრად გააქტიურებას, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს, რომლებიც უკავშირდებიან გადახსნილი კარიერიდან მძიმე მეტალებით დაბინძურებული ჩამდინარე ნყლების წარმოქმნას, ამტვერებასა და სხვა არაპროგნოზირებად ფაქტორებს, გარემოს გარდაუვალ და მნიშვნელოვან დეგრადაციას.

დასკვნის სახით, მოგახსენებთ, რომ საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის მეცნიერული დასაბუთება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და დასკვნების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას.

ზემოაღნიშნული შეფასებებისა და სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინებით, გამოცემული იქნა ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისათვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას, ეროვნული კატეგორიის მოხსნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, 2013 წლის 15 სექტემბრამდე არქეოლოგიურ ზონაში მდებარე ობიექტის საფუძვლიან შესწავლას და ა.შ.

მიზანშეწონილია, რომ არქეოლოგიური ზონის სტატუსი ტერიტორიას მოეხსნას 2013 წლის 15 სექტემბერს, ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის დასრულების შემდეგ, აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციას წარმოგიდგენთ დამატებით.

დანართის სახით წარმოგიდგენთ კომისიის მუშაობის შედეგების ამსახველ დოკუმენტებს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანებას.

დანართი: "30" გვ.

პატივისცემით,

მინისტრი

მირიანე ოდიშარია